განმარტებითი ბარათი
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

2007 წლის 4 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა პარიზის 2003 წლის 17 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენცია ,,არამატერიალური კულტურული მემკვიდრეების დაცვის შესახებ“. იუნესკოს კონვენცია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას განიხილავს, როგორც ,,კულტურული მრავალფეროვნებისა და მისი მდგრადი განვითარების წყაროს“. დღეისათვის ამ კონვენციას მიერთებულია 200-ზე მეტი ქვეყანა.

იუნესკოს (UNESCO) მიერ მიღებული ამ კონვეციის მიხედვით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა განმარტებულია, როგორც ,,საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისა და ზოგიერთ შემთხვევაში კერძო პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებული ადათ-წესები, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმები, ცოდნა და ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები“.

იუნესკო განსაზღვრავს იმ სფეროებს, რომლებშიც ვლინდება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; ეს სფეროებია:

- ზეპირი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები;
- საშემსრულებლო ხელოვნება;
- საზოგადოებრივი პრაქტიკა;
- გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება;
- ხელოსნობის დარგები და ტექნიკები.

2013 წლის 12 მარტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის (03/43) ბრძანებით ნომინაციას - ,,დედაენა“ - ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდი - მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ხოლო 2014 წლის 14 აპრილს საქართველოს მთავრობის N295 დადგენილებით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს - ,,დედაენა“ - ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდი - განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

2016 წლის 30 ნოემბერს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო კომიტეტმა მე-11 სესიაზე ,,ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ აღიარა კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად და შეიტანა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ,,დედაენა“ - ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი ასევე არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანილი ნომინაციის - ,,ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ - ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი.

ზემოაღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით ,,დაცვა“ ნიშნავს ზომების მიღებას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლიუნარიანობა, მათ შორის - მისი იდენტიფიკაცია, დოკუმენტირება, კვლევა, შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია, მისი როლის ამაღლება და მისი გადაცემა

უმთავრესად ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით, აგრეთვე ასეთი მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტების აღორძინება.

კონვენციის მე-13 მუხლით დადგენილია დაცვის საშუალებები. კერძოდ: ,,თითოეული მონაწილე სახელმწიფო მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და როლის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით: ნიშნავს ამ ქმნის ერთ ან რამდენიმე კომპეტენტურ ორგანოს მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, იღებს შესაბამის იურიდიულ, ტექნიკურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ ზომებს..“

ზემოაღნიშნული კონვენციის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხორციელდება ორ დონეზე - ეროვნულზე და საერთაშორისოზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ”.

2007 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ UNESCO-ს კონვენციის რატიფიცირების შედეგად, საკანონმდებლო დონეზე დაინერგა რამდენიმე საბაზისო ცვლილება, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს ეროვნული კანონის ჩათვლით. ზემოაღნიშნულ ცვლილებებზე დაყრდნობით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების ვალდებულება დაეკისრა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. 2011 წლიდან მოყოლებული, აღნიშნული სფეროს ადმინისტრირების ფუნქცია აკისრია სამინისტროს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

დღეისათვის დასრულების სტადიაშია კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი, რომელიც უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით იქნება წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საკანონმდებლო დონზე სახელმწიფოს ვალდებულებაა და მისი უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია შესაბამისი საკანონმდებლო აქტების გონივრულ ვადებში მიღება. როგორც აღინიშნა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს - ,,დედაენა“- ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი - განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია. მისი დაცვა კონვენციით დადგენილ სხვა ღონისძიებებთან ერთად გულისხმობს ახალი საკანონმდებლო ნორმების მიღებას.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწსებულებებში რამდენიმე დედაენა ისწავლება, რომლებიც შედგენილია ,,იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“ და არა იაკობ გოგებაშვილის მეთოდის საფუძველზე. 2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჩაატარა საანბანე სახელმძღვანელოთა კონკურსი. იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ საკონკურსოდ მოამზადა იაკობის ,,დედაენა“, მას კონკურენციას უწევდა ავტორთა ჯგუფების მიერ შედგენილი ცხრა „დედაენა“, რომელთა შორის 8, ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით იყო შექმნილი. ამ კონკურსში ნამდვილმა „დედაენამ“ სხვებთან ერთად მიიღო გრიფი, მაგრამ 2011 წელს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ქართული ენის სახელმძღვანელოების კონკურში იაკობ გოგებაშვილის ,,დედაენამ“ ,,ვერ დააკმაყოფილა საკონკურსო პირობები“.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ,,დედაენა“- ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი - საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოს სასწავლო პროცესში გამოყენებისათვის მიზანშეწონილი და აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილება უნდა განხორცელდეს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ,,დედაენა“- ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი - საკანონმდებლო დონეზე დაცვა და სასწავლო პროცესში მისი გამოყენებისათვის სამართლებრივი საფუძველის შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-26 მუხლს ემატება ,,ფ[2]“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით: „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის – საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე სათანადო შემთხვევაში ქმნის ექსპერტთა კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ან საერთაშორისო კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეთოდის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოს მომზადებასა და გრიფირებაზე წარდგენას. ამ სახელმძღვანელოს გრიფირება ხდება სპეციალური წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, აუცილებელი გახდება ექსპერტთა კომისიის შექმნა, რომელიც რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ან საერთაშორისო კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეთოდის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოს მომზადებასა და გრიფირებაზე წარდგენას. ექსპერტთა კომისიაში წევრები წინასწარი გათვლებით არ უნდა აღემატებოდეს 10 წევრს, ხოლო გასაწევი ხარჯი 12 000 ლარს. ხარჯების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს ხარჯი ერთჯერადია, გარდა იმ შემთხვევისა თუკი სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას გადაამუშავოს წიგნი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტს არა აქვს გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

აღნიშნული წიგნის მომზადება გრიფირებისთვის წინასწარი გათვლებით დაჯდება 12 000 ლარი რაც მოიცავს როგორც ექსპერტთა ანაზღაურებას, ასევე დაკაბადონებას, მხატვრობას და ა.შ. ეს ხარჯი ერთჯერადია, გარდა იმ შემთხვევისა თუკი სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას გადაამუშავოს წიგნი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტს გავლენა ექნება იმ პირებზე, რომლებიც იქნებიან ექსპერტთა კომისიის წევრები. ექსპერტთა რაოდენობა საბჭოში, წინასწარი გათვლებით არ აღემატება 10 წევრს. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან;

კანონპროექტის მიღება შეესაბამება ევროკავშირის სამართალს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი სამართლებრივი აქტი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: ზაზა გაბუნია, მარიამ ჯაში.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: ზაზა გაბუნია, მარიამ ჯაში.